



სოფლის მეურნეობის
სამინისტრო-კვლევითი ცენტრი

ბალანსურივების მამოყენება



ფარმარებისათვის
თბილისი 2018

მეცხოველეობისათვის საჭირო მაღალყუათიანი და ვიტამინებით მდიდარი საკვები ბაზის შესაქმნელად ნათეს საკვებ ბალახებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ბალახები ყველაზე ეფექტუანად გამოიყენება საკვებ კულტურათა შორის. მათგან მიიღება მაღალი კვებითი ღირებულების თივა. ამასთან, ნათესი ბალახები ვიტამინებით მდიდარი საუკეთესო საძოვარი და მწვანე საკვებია, რომელიც დადგებითად მოქმედებს ცხოველთა ზრდა-განვითარებასა და პროდუქტიულობაზე.

საკვები ბალახები ბიოლოგიური თავისებურების, თესვა-მოყვანისა და დანიშნულების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: პარკოსნები და მარცვლოვნები. მათ თესვენ ცალკე (სუფთად) და ბალახნარევის სახით.

კვების რაციონში ცილებით მდიდარი საკვების მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს ბალახნარევებს. სუფთა ნათესთან შედარებით იგი იძლევა მაღალ და მყარ მოსავალს, უკეთესად იყენებს სასიცოცხლო ფაქტორებს - სითბოს, სინათლეს, ტენს, ჰაერს და ნიადაგის საკვებ ნივთიერებებს.

კულტურაში ნათესი მარცვლოვნების ფესვები ნიადაგში 100-150 სმ სიღრმეზე ჩადის, ზოგიერთი მარცვლოვნების (უფხო შვრიელა, მაღალი კონდარი, კაბუეტა) ფესვები ნიადაგში ორ მეტრზე მეტ სიღრმეს აღწევს. მრავალწლოვანი პარკოსნები კი კიდევ უფრო ღრმად ფესვიანდებიან, ვიდრე მარცვლოვანი ბალახები. მარცვლოვნებისა და პარკოსნების ფესვების 50-70% განლა-

გებულია ნიადაგის ზედაპირის 20-30 სმ სიღრმეზე.

ბალახნარევების ძოვნადობა და გამოყენების კოეფიციენტი მაღალია, ვიდრე სუფთა ნათესის, უფრო გამძლე არის არახელსაყრელი პირობებისადმი და უკეთესად ებრძვის სარეველებს. ბალახნარევში პარკოსნების გამეჩხერებისას თავისუფალ ადგილებს იკავებს უფრო გამძლე და ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანი მარცვლოვნები. მარცვლოვანი და პარკოსანი ბალახების არათანაბარი განვითარების გამო, ბალახნარევებში თესვისას, თითო-ეული მათგანისათვის იქმნება შედარებით სასურველი პირობები ნიადაგის ტენისა და საკვები ნივთიერებების გამოყენების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს თივის მაღალი მოსავლის მიღებას, გათიბვისა და გაძოვების შემდეგ ბალახნარევის კარგ აქვიტს (წამონაზარდს) ვიღებთ. ბალახნარევები წლების განმავლობაში იძლევა უფრო სტაბილურ და მაღალ მოსავალს, ვიდრე სუფთა ნათესები.

ბალახნარევების (მარცვლოვან-პარკოსანი) შრობისას პარკოსნების (სამყურა, იონჯა) ფოთლების სრული შენარჩუნება ხდება, მაშინ როდესაც პარკოსნების ცალკე შრობისას ფოთლების დიდი დანაკარგი აღინიშნება, რაც შესაბამისად იწვევს კვებითი ღირებულების შემცირებას. ბალახნარევების თესვისას საგრძნობლად უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, იზრდება ნიადაგის დაკორდების პროცესი.



ლურჯი იონჯა

ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ბალახნარევების შემადგენლობა სხვადასხვანაირია.

ნარევში ითესება ადგილობრივი პირობებისათვის ყველაზე მოსავლიანი და მაღალი კვებითი ლირებულების ქმნება ბალახები. შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი ფამოკიდებულება ნიადაგის, წყლის რეჟიმის, საკვები ნივთიერებების და სხვათა მიმართ. მაგალითად, მარცვლოვნები აზოტის მიმართ მომთხვენი არიან. ამიტომ ისინი კარგად იზრდება აზოტით მდიდარ ნიადაგებზე. პარკოსნები კარგად იზრდება ფოსფორისა და კალიუმის შემცველ ნიადაგებზე. სამუალო ტენიანობის ნიადაგებზე კარგად იზრდება მდელოს წივანა, უფხო შვრიელა, მდელოს თივაქასრა, სათითურა, წითელი და თეთრი სამყურა. მაღალი ტენიანობის პირობებში კარგად იზ-



იონჯის თესლი

რდება მდელოს ტიმოთელა, მდელოს მეღლაკუდა, თეთრი ნამიკრეფია, ვარდისფერი სამყურა და სხვა.

ხანგრძლივი გამოყენების სათბები-სათვის მიზანშეწონილია დაითესოს ფესურიანი მაღლარი ბალახები, ხოლო საძოვრული გამოყენების შემთხვევაში უმჯობესია დაითესოს დაბლარი, ძოვების ამტანი ბალახები. მაღალი და მყარი მოსავლის მისაღებად ბალახნარევების თესვისას აუცილებელია შეირჩეს თანაბარი (შეთავსებადი) ვეგეტაციის ქმნებულ მცენარეები და გათვალისწინებულ იქნეს მეორე ნათიბის მიღების შესაძლებლობა.

ხანგრძლივი სარგებლობის მრავალნლიანი საძოვრების შესაქმნელად მიზანშეწონილია ბალახნარევებში შეტანილ იქნეს პარკოსნები 20-30%, მაღლარი მარცვლოვნები 20%-მდე, დაბლარი მარცვლოვნები 50-60%.



სათითურა



სათითურას თესლი

საძოვრის ტიპის ბალახნარევებში შეტანილი უნდა იქნეს სხვადასხვა ვადებში მწიფადი ბალახები (საა-დრეო, საშუალო, საგვიანო), რომლებიც გაძოვების შემდეგ კარგ აქვიტს იძლევა. ძოვების ამტან ბალახებად ითვლება: საძოვრის კონიდარი, სათ-ითურა, ყვითელი და ლურჯი იონჯა, თეთრი სამყურა, კურდლისფრჩი-ლა და სხვა.

მრავალლოვანი ბალახებისაგან თი-ვის მაღალი მოსავლის მიღება ნიშ-ნავს, რომ მოსავლის მიღებასთან ერთად ნიადაგში გროვდება აზოტი (საშუალოდ 1 კგ ყოველ ცენტინ თივაზე), ფოსფორი, კალიუმი, კალ-ციუმი და მცენარისათვის საჭირო სხვა საკვები ნივთიერება.

მრავალწლოვანი ბალახების ღერო ერთ წელიწადს ცოცხლობს, მაგრამ მათი ძირითადი ბიოლოგიური გან-სხვავება ერთნლოვანი ბალახები-საგან იმაში მდგომარეობს, რომ მთავარი ღეროს ფუქები, იმ ადგი-ლას სადაც ღერო უერთდება ფესვს და რომელიც მორფოლოგიურად მცენარის ფესვის ყელს წარმოად-გენს, მეორე წელს წარმოიქმნება ახალი ყლორტები. მრავალწლოვანი ბალახების ამ თვისებას ვეგეტატი-ური განახლება ეწოდება. მრავალ-წლოვანი ბალახების ეს თვისება დამოკიდებულია ფესვის ყელისა და მასზე მოთავსებული კვიოტების ცხოველმყოფელობაზე.

მრავალწლოვანი ბალახების თესვა შესაძლებელია საფარი კულტურების ქვეშ და უსაფაროდ, სუფთად. უსა-ფაროდ თესვა სარწყავ ნიადაგებზე ზაფხულში ან ადრე შემოდგომით, წინამორბედი კულტურების მიერ ნიადაგის განთავსისუფლებისთანავე ხდება, ნათესი დაზამთრებადმდე გა-ძლიერდება და შესაძლებელია ერთი ნათიბის მიღებაც.

საფარქვეშ დათესილი ბალახები პირველ წელს სუსტად ვითარდება და მცირე მოსავალს იძლევა, მა-გრამ ამით ვიგებთ ერთი სავეგეტა-ციო წელს და რაც მთავარია, იზო-გება ხარჯები. საფარი კულტურის მოსავლის აღების შემდეგ მცენარე სწრაფად ვითარდება და იმავე წელს იძლევა 1-2 ნათიბს. ერთნლოვანი კულტურების საფარქვეშ ბალახების თესვა შესაძლებელია ადრე შემოდ-გომით ან საგაზაფხულოდ. ასევე შესაძლებელია ბალახების შეთესვა გაზაფხულზე სიმინდში, რომლის აღების შემდეგ კარგად იზრდება და წლის ბოლომდე 1-2 ნათიბს იძლევა, ხოლო მომდევნო წელს 4-5-ჯერ ითი-ბება.

ბალახებისათვის ნიადაგის და-მუშავება დამოკიდებულია თესვის წესებსა და ვადებზე. თუ ბალახები ითესება გაზაფხულზე ნიადაგი უნდა მოიხსნა შემოდგომოთ მზრალად, წინასახნელიანი გუთნით 22-25 სმ სიღრმეზე. მოხვნის წინ უნდა შევი-ტანოთ ორგანული და მინერალური სასუქები. ადრე გაზაფხულზე ხნუ-ლი იფარცხება, ხოლო თესვის წინ ტარდება კულტივაცია და ფარცხვა.

ბალახების ზაფხულში ან ადრე შემოდგომით თესვისას, ნიადაგის ძირითადი დამუშავება ხდება წინ-ამორბედი კულტურისგან ნიადაგის განთავსისუფლებისთანავე. ხნული თუ ბელტიანია, იშლება დისკოე-ბიანი ფარცხებით, ზედაპირი მოს-წორდება კულტივაციით და ფარ-ცხვით, მოიტკეპნება საგორავებიანი სატკეპნელით, რაც უზრუნველყოფს თესლის თანაბარ სიღრმეზე ჩათეს-ვას და შესაბამისად ნათესის თანა-ბარ აღმოცენებას.

საფარი კულტურების ქვეშ ბა-ლახების თესვა მიმდინარეობს ძირითადი კულტურის გარდი-

გარდმო მიმართულებით. თუ თესვა ერთი აგრეგატით სრულდება, ბალახები ითესება ძირითადი კულტურის მწერივებს შორის. ცალ-ცალკე



ბალახნარევები

მრავალწლოვანი ბალახების თესვა ხდება შემდეგ ვადებში: აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სარწყავ ზონაში - 20 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე. ურნწყავ ზონაში - 10 მარტიდან პირველ აპრილამდე. დასავლეთ საქართველოს დაბლობის სარწყავ ზონაში - 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე, ურნწყავში - 20 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე.

ნათესი ბალახების პირველი გათიბვა ტარდება ნიადაგის ზედაპირიდან 5-6 სმ სიმაღლეზე, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება დანაკარგები და იქმნება ხელსაყრელი პირობები ნამონაზარდის (აქვიტის) განვითარებისათვის.

ბალახების ნარევად თესვა ზრდის მონელებადი პროტეინისა და საკვები ერთეულის მოსავალს, უკეთ შეითვისება ცხოველის ორგანიზმის მიერ და მაღალია მათი ჭამადობის ხარისხიც.

საქართველოში დამზადებული საკვები, ყუათიანობით საგრძნობლად ჩამორჩება ცხოველის ფიზიოლო-

თესვის დროს, ჯერ ითესება საფარი მცენარე (ხორბალი, ქერი) და ნათესის მოტკეპნის შემდეგ ბალახები.



**იონჯანარევი ბალახნარევის
მოსავალის აღება**

გიური მოთხოვნის ნორმებს, განსაკუთრებით პროტეინის შემცველობით, რომელიც არ აღემატება 65-70 გრ, ნაცვლად აუცილებელი 115-120 გრამისა. ეს გამოწვეულია საკვებში მარცვლოვანი მცენარეების სიჭარბით, რომლებშიც პროტეინის შემცველობის ნაკლებობაა.

მწვანე მასის მოსავლის აღება ხორციელდება პარკოსნების დაკორების ფაზაში, მიუხედავად იმისა, თუ რა ფაზაში იქნება მარცვლოვანი ბალახები.

მოკლე დროის სათიბებში (3-4ნ.) საჭიროა მარცვლოვანთა და პარკოსანთა თანაბარი შეფარდება, ხოლო ხანგრძლივი გამოყენების სათიბებში - პარკოსანთა 30%, მარცვლოვანთა 70%.

ხანგრძლივი სარგებლობის საძოვრებზე მიზანშენონილია ბალახნარევში გამოყიდვით (წონით) პარკოსანი - 20-30%, მაღლარი მარცვლოვანი - 20% და დაბლარი მარცვლოვანი - 50-60%.

მრავალწლოვანი საკვები ბალახების (იონგა-სათითურას ნარევი) საორგანიზაციო ხარჯთაღრიცხვა და მოსავლიანობა (სარწყავი) ასეთია:

ხარჯთაღრიცხვა:

- | | |
|-----------------------------------|---|
| 1. სათესლე მასალის ფასი -350 ლარი | 8. მოტკეპნა -50 ლარი |
| 2. ნიადაგის მოხვნა -145 ლარი | 9. მორწყვა - 60 ლარი |
| 3. სასუქების შეტანა -165 ლარი | 10. სასუქები თესვის ნინ და გათიბვის შემდეგ - 490 ლარი |
| 4. ფრეზირება - 80 ლარი | 11. სასუქების გადაზიდვა -100 ლარი |
| 5. კულტივაცია - 70 ლარი | 12. მოთიბვა - 60 ლარი |
| 6. მოტკეპნა - 50 ლარი | 13. სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები -50 ლარი |
| 7. თესვა - 80 ლარი | სული ხარჯები - 1750 ლარი. |

მეორე და მომდევნო წლებში ხარჯები იქნება განეული მოთიბვაზე, მორწყვაზე და სასუქების შეტანაზე.

მოსავალის საორიენტაციო განაწილება გათიბვების მიხედვით

1. I გათიბვაზე 30%
2. II გათიბვაზე 20%
3. III გათიბვაზე 20%
4. IV გათიბვაზე 20%
5. V გათიბვაზე 10%

უფრო ვრცელი განმარტებებისა და კონსულტაციებისათვის მოცემულ თემაზე შეგიძლიათ

მიმართოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს!

0159, საქართველო თბილისი,

მარშალ გელოვანის გამზ. №6

შემდგენელი: იოსებ სარჯველაძე



სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
www.srca.gov.ge